

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის  
თავმჯდომარეს ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

წარმოგიდგენთ სს სილქნეტის შენიშვნებს კომისიის მიერ გამოქვეყნებულ „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დეზულების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე.

**შენიშვნების შემაჯამებელი/მოკლე აღწერა**

1. დღეს საქართველოში დანერგილი მობილური ნომრების პორტირების პროცესი (კერძოდ, ერთი გაჩერების პრინციპით მიმღები ოპერატორის მიერ მართული პროცესი - „one stop-shop receiving provider led process“) შესაბამისობაშია ევროდირექტივებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან და ევროპის საუკეთესო პრაქტიკასთან. (იხ. DIRECTIVE (EU) 2018/1972 - პუნქტი 281 და მუხლი 106).

შემოთავაზებული ცვლილებებით კომისია გეგმავს დღეს საქართველოში დანერგილი, ევროდირექტივებთან შესაბამისი, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მქონე და კარგად აპრობირებული მობილური ნომრების პორტირების პროცესი („one stop-shop receiving provider led process“), შეცვალოს გაერთიანებულ სამეფოში წლების წინ დანერგილი ორი გაჩერების პრინციპის მქონე „donor led (Porting Authorization Code)“ პორტირების პროცესით, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენდა და რომელის უარყოფითი მხარეები და ცვლილების საჭიროებაც თვით OFCOM-ს (გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელი) არა ერთი დოკუმენტით აქვს განხილული და დაინიცირებული. (დეტალურად იხ. პუნქტი1)  
[https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf\\_file/0023/41765/mnpcondoc.pdf](https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0023/41765/mnpcondoc.pdf)  
[https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf\\_file/0015/24324/mnp.pdf](https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0015/24324/mnp.pdf)

დამატებით, კომისიის მიერ განსაზღვრული და გაცხადებული არც ერთი მიზნის განსახორციელება არ საჭიროებს დღეს მოქმედი პორტირების პროცესის („one stop-shop receiving provider led process“) ცვლილებას (იხ. პუნქტი 2), რაც თავის მხრივ, დაუსაბუთებელ ხარჯებს წარმოქმნის საქართველოს ბაზრის მონაწილეებისათვის, უარყოფითად იმოქმედებს პორტირების პროცესზე და გაურკვეველია რა მიზანს ემსახურება.

2. საქართველოში დღეს არსებული პორტირების განხორციელების ტექნიკურ- ადმინისტრაციული ვადები (პორტირების განაცხადის ბაზაში რეგისტრაციიდან 24 საათში პორტირების უზრუნველყოფა), შესაბამისობაშია ევროდირექტივებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან (1 სამუშაო დღეში პორტირების უზრუნველყოფა) და ევროპის საუკეთესო პრაქტიკასთან, ხოლო სერვისის წყვეტისთვის საქართველოში არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული

შ-21-6/2368

მაქსიმალური დასაშვები ვადა (3 საათი), გაცილებით ნაკლებია ევროდირექტივით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადაზე (1 სამუშაო დღე) (იხ. DIRECTIVE (EU) 2018/1972 - პუნქტი 281 და მუხლი 106). მობილური სერვისის წყვეტის რეალური (პრაქტიკული) ხანგრძლივობა კი სტანდარტულ შემთხვევაში საქართველოში 5 წუთს არ აღემატება, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიო მასშტაბით.

კომისია შემოთავაზებული ცვლილებებით ისე გეგმავს შეამციროს პორტირების განხორციელებისათვის დღეს განსაზღვრული 24 საათიანი ვადა (თან პორტირების პროცესის ცვლილებასთან ერთად), რომ არ შეუფასებია ა) ქმნის თუ არა მომხმარებლისათვის დღეს კანონმდებლობით განსაზღვრული და პრაქტიკაში არსებული ვადები პრობლემას და დაბრკოლებას პორტირებისას და საერთოდ არის თუ არა საჭირო ვადების შემცირება ბ) ვადების შემცირებისათვის რატომ არის საჭირო დღეს არსებული, (აპრობირებული და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესის ცვლილება, გ) ოპერატორებისათვის რა ხარჯებთან არის დაკავშირებული და რა სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს ამგვარი ცვლილება.

3. ვინაიდან მარეგულირებლის მიერ შემოთავაზებული ახალი, ორი გაჩერების პრინციპის მქონე „donor led (Porting Authorization Code)“ პორტირების პროცესი და თანმდევი საკითხები რიგ შემთხვევებში არასწორად (სავარაუდოდ შეცდომით) არის ჩამოყალიბებული, ამგვარ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში მივიღებთ შემდეგს, რაც ნეგატიურად აისახება პორტირებაზე:

- ა) უკიდურესად გართულდება კორპორატიული მობილური აბონენტების პორტირების პროცესი.
- გ) მობილური მომსახურების მომხმარებლებს აღარ ექნებათ საშუალება და უფლება თავად განსაზღვრონ მობილური ნომრის პორტირების მათთვის სასურველი დღე და დრო.
- ბ) აბონენტებს, რომლებიც დროებით სარგებლობენ სხვის სახელზე გაფორმებული სააბონენტო რესურსით, შესაძლებლობა ექნებათ პორტირებით, ნუმერაციის რესურსის მფლობელის თანხმობის გარეშე, მარტივად გადაიფორმონ ნუმერაციის რესურსი. ისევე, როგორც გაიზრდება თაღლითური გზით ნომრის გადაფორმების რისკი (იხ. პუნქტი 4)

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ იდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემებიდან გამომდინარე (დამატებით, დადგენილების პროექტში მრავლად არის შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე ხარვეზები და პრობლემები) მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს და ცვლილებების დაინიცირებამდე კომისიამ წერილობით უნდა გამოაქვეყნოს:

- ა) ქმნის თუ არა დღეს არსებული „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესი და პორტირების ვადები პრობლემას და არასამართლიან დაბრკოლებას პორტირების მსურველი მომხმარებლისათვის და არის თუ არა დღეს დანერგილი პროცესი და ვადები თანხვედრაში ევროდირექტივებთან.
- ბ) კონკრეტულად რა პრობლემებიდან და/ან რა სახის აუცილებლობიდან გამომდინარე არის საჭირო დღეს არსებული „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესისა და შესაბამისი ვადების ცვლილება.
- ბ) როგორ პასუხობს კომისიის მიერ განსაზღვრული ახალი, ორი გაჩერების პრინციპის მქონე „donor provider led (Porting Authorization Code)“ პორტირების პროცესი იდენტიფიცირებულ პრობლემებსა და განსაზღვრულ მიზნებს და რატომ არ არის მიზანშეწონილი დღეს არსებული „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესის დატოვება.
- გ) როგორია კომისიის მიერ შემოთავაზებული მობილური პორტირების ახალი პროცესის დანერგვის თანმდევი სავარაუდო ხარჯები და უარყოფითი მზარეები და რა სარგებელს და დადებით შედეგებს მოუტანს ამგვარი ცვლილება მომხმარებლებს. (Regulatory Impact Assessment-RIA)

ასევე მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ნომრების პორტაბელურობის დადგენილების პროექტით დაინიცირებულია მნიშვნელოვანი და სისტემური ცვლილებები, კომისიის 2021 წლის 20 მაისის N გ-21-10/274 გადაწყვეტილებით გამოცხადებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსი უნდა შეჩერდეს ზემოაღნიშნულ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

სს სილქნეტის დეტალური შენიშვნები კომისიის მიერ გამოქვეყნებულ „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე.

1. **მობილური ნომრების პორტირების დღეს არსებული/დანერგილი პროცესის (one stop-shop receiving provider led process) ცვლილება ახალი პორტირების პროცესით**

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია რა მიზანს ემსახურება შემოთავაზებული ძირითადი ცვლილება, რომლითაც დღეს დანერგილი ერთი გაჩერების პრინციპის მქონე (one-stop-shop) სრულად მიმღები ოპერატორის მიერ მართული (process led by the receiving provider) მობილური ნომრების პორტირების პროცესი, რაც ევროდირექტივებით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს და მსოფლიო მასშტაბით აღიარებულია, როგორც საუკეთესო სისტემა, იცვლება ორი გაჩერების პრინციპის მქონე და დონორი ოპერატორის მიერ მართული (donor provider led) პორტირების სისტემით.

აღნიშნული კი გარდა იმისა, რომ წინააღმდეგობაში მოდის ევროდირექტივებთან და დამატებით გაუმართლებელ ხარჯებს წარმოქმნის საქართველოს ბაზრის მონაწილეებისათვის, ცალსახად უარყოფითად იმოქმედებს პორტირების პროცესზე.

DIRECTIVE (EU) 2018/1972 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December 2018 establishing the European Electronic Communications Code	
(281) Number portability is a key facilitator of consumer choice and effective competition in competitive markets for electronic communications and should be implemented with the minimum delay, so that the number is functionally activated within one working day and the end-user does not experience a loss of service lasting longer than one working day from the agreed date. The right to port the number should be attributed to the end-user who has the relevant (pre- or post-paid) contract with the provider. In order to facilitate a one-stop-shop enabling a seamless switching experience for end- users, the switching process should be led by the receiving provider of electronic communications to the public.	(281) ნომრების პორტაბელურობა მომხმარებელთა არჩევანისა და ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალებაა და უნდა განხორციელდეს მინიმალური შეფერხებით, ისე, რომ ნომერი ფუნქციონალურად გააქტიურდეს ერთ სამუშაო დღეში და ბოლო მომხმარებელს არ ჰქონდეს მომსახურების წყვეტა შეთანხმების დღიდან ერთ სამუშაო დღეზე მეტი პერიოდით. პორტირების უფლება უნდა ვრცელდებოდეს ბოლო მომხმარებლებზე, რომლებსაც შესაბამისი (წინასწარი ან შემდგომი გადახდის) ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული მომსახურების მიმწოდებელთან. იმისათვის, რომ ბოლო მომხმარებლებისათვის უზრუნველყოფილი იყოს ერთი გაჩერების პრინციპით უწყვეტი გადართვა, პორტირების პროცესი უნდა მართოს მიმღებმა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელმა

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (DIRECTIVE (EU) 2018/1972) თანახმად, წვერი ქვეყნები ვალდებული არიან პორტირების უზრუნველსაყოფად დანერგონ ზუსტად ისეთი პროცესი ანუ ერთი გაჩერების პრინციპით მიმღები ოპერატორის მიერ მართული პროცესი (one stop-shop receiving provider led process), რაც დღეს საქართველოშიც არის დანერგილი პორტირების უზრუნველსაყოფად.

დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ ევროკავშირის ფარგლებში გაერთიანებული სამეფო იყო ერთ-ერთი გამონაკლისი ქვეყანა (დღეს აღარ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყანას) რომელსაც დანერგილი არ ქონდა ე.წ. „one stop-shop receiving provider led“ მობილური ნომრების პორტირების პროცესი და მომხმარებლებს პორტირებისათვის ჭირდებოდათ დონორი ოპერატორისაგან ე.წ. Porting Authorization Code- ის მოპოვება. 2007 წელს OFCOM-მა სცადა დაენერგა „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესი, თუმცა Vodafone UK-ის საჩივრის საფუძველზე წააგო პროცესი და ძალაში დარჩა „donor led“ სისტემა<sup>1</sup>, სადაც პორტირების პროცესი ისევ იწყებოდა (და დღესაც იწყება) დონორი ოპერატორისაგან Porting Authorization Code- ის მოპოვებით. ასევე OFCOM-ს არაერთი დოკუმენტი აქვს გამოქვეყნებული, სადაც მიუთითებს გაერთიანებულ სამეფოში დანერგილი ორი გაჩერების პრინციპის მქონე „donor led“ (Porting Authorization Code) პორტაბელურობის იმ სისტემის ნაკლოვანებებზე, რომლის იდენტურის დანერგვაც დღეს საქართველოში იგეგმება (გთხოვთ იხილოთ შემდეგი დოკუმენტები [https://www.ofcom.org.uk/ data/assets/pdf file/0023/41765/mnpcondoc.pdf](https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0023/41765/mnpcondoc.pdf) <https://www.ofcom.org.uk/ data/assets/pdf file/0015/24324/mnp.pdf>).


ქვემოთ მოცემულია OFCOM-ის ერთ-ერთი საკონსულტაციო დოკუმენტიდან (<https://www.ofcom.org.uk/ data/assets/pdf file/0023/41765/mnpcondoc.pdf> გვ.19) ამონარიდი, სადაც OFCOM-ი გრაფიკულად და სიტყვიერად განმარტავს თუ რატომ ჯობია დღეს საქართველოში უკვე დანერგილი „one stop-shop receiving provider led“ პორტირების სისტემა გაერთიანებულ სამეფოში წლების წინ დანერგილ „donor led“ (Porting Authorization Code) პორტაბელურობის იმ სისტემას, რომლის ანალოგის დანერგვასაც კომისია დღეს გეგმავს.

---

<sup>1</sup> იხ. On 29 November 2007, Ofcom published the statement “Telephone number portability for consumers switching suppliers”, which required, amongst other things, mobile providers to implement recipient-led porting and reduce the time to port mobile numbers from two business days to two hours by 1 September 2009. Vodafone (subsequently supported by BT, T-Mobile, Orange and O2) appealed the November 2007 Statement in early 2008, and on 18 September 2008 it was set aside in its entirety by the CAT. იხ. <https://www.ofcom.org.uk/ data/assets/pdf file/0018/46080/statement.pdf> და <https://www.ofcom.org.uk/ data/assets/pdf file/0015/24324/mnp.pdf>

3.12 A recipient-led process means that the recipient operator is enabled to act on behalf of the consumer to instruct the donor operator to make arrangements to port the consumer's number. There are fewer steps involved for the consumer in a recipient led process compared to a donor-led process, as shown by Figure 2.

**Figure 2: Recipient vs Donor-led process**



3.13 The UK's current porting system was developed in 1999 before it was possible to draw on the wider international experience in relation to MNP. Most other markets introducing porting much later, and based on accumulated experience from elsewhere, adopted a recipient-led process from the outset. The UK is therefore one of only a small number of countries that have had to consider moving from a donor led to a recipient-led process.

კომისიამ კი ა) საქართველოში პორტირების პროცესის ცვლილებების საჭიროების ანალიზის, ბ) შემოთავაზებული ახალი პროცესის თანმდევი ხარჯების, უარყოფითი მხარეებისა და/ან სარგებლის შეფასების, ისევე როგორც გ) საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მოკვლევის და დ) ევროდირექტივებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობის შესწავლის გარეშე გადაწყვიტა გადმოიღოს გაერთიანებულ სამეფოში წლების წინ დანერგილი „donor led“ ნომრების პორტირების პროცესი, თუმცა ისიც არასწორად და მიზნად დაისახა ჩანასცვლოს დღეს საქართველოში არსებული, მომხმარებლისთვის მაქსიმალურად მოქნილი, სრულად მიმღები ოპერატორის მიერ მართული და გამჭვირვალე მობილური ნომრების პორტირების პროცესი.

2. კომისიის მიერ დაინიცირებული ცვლილებების კომისიის მიერ განსაზღვრულ მიზნებთან შესაბამისობა

მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ თავის პრეზენტაციაში განსაზღვრა ცვლილებების განხორციელების მიზნები (რომელებიც ცხრილი 1-ში არის განხილული), კომისიას არ აქვს გაანალიზებული და შეფასებული:

- ა) კონკრეტულად რა პრობლემებიდან და/ან რა სახის აუცილებლობიდან გამომდინარე გახდა საჭირო ცვლილებების ინიცირება და განსაკუთრებით არსებული, უკვე დანერგილი და აპრობირებული „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესის ცვლილება,
- ბ) როგორ პასუხობს ახალი პორტირების პროცესი მის მიზნებს და/ან არის თუ არა შესაძლებელი იგივე მიზნების უკვე დანერგილი პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფა და
- ბ) როგორია მობილური პორტირების ახალი (შემოთავაზებული) პროცესის დანერგვის თანმდევი ხარჯები, შესაძლო უარყოფითი მხარეები და სარგებლი. (Regulatory Impact Assessment-RIA)

ცხრილი 1. კომისიის მიერ განსაზღვრული მიზნები და სს სილქნეტის შენიშვნები

კომისიის მიერ განსაზღვრული მიზნები	სს სილქნეტის შენიშვნები:
1. წარმატებული პორტირების მაჩვენებლის გაზრდა	<p>ჩვენი შეფასებით, დღეს საქართველოში წარმატებული პორტირების მაჩვენებელი არის 100%, რაც გულისხმობს, რომ მობილური ნომრის პორტირების ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც არ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული პორტირებაზე უარის თქმის საფუძველი და რომელიც არ არის შეწყვეტილი აბონენტის ინიციატივით სრულდება წარმატებით ანუ პორტირებით.</p> <p>ჩვენი ინფორმაციით, ტექნიკური მიზეზებით განუხორციელებელი (წარუმატებელი) პორტირების შემთხვევები საქართველოში არ არის.</p> <p>კომისიის პრეზენტაციაში მოყვანილი სტატისტიკა გვჩვენებს, რომ პორტირების განხორციელებაზე უარი განპირობებულია შემდეგი სახის კანონმდებლობით განსაზღვრული ობიექტური საფუძველებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>38% - აბონენტის მოთხოვნით</li> <li>46%- მობილური ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი მას არ ეკუთვნის</li> <li>13% - წინა თვის დავალიანება/დავალიანების გამო გათიშვა</li> <li>2%- არ არის გასული 30 დღე</li> <li>0,1- დონორი ოპერატორი არასწორად არის მითითებული</li> </ul> <p>დამატებით, კომისიას ცვლილებების პროექტით უცვლელად აქვს დატოვებული პორტირებაზე უარის თქმის საფუძველები, რაც ცალსახად ადასტურებს რომ კომისია დღესაც მიიჩნევს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული უარის თქმის კრიტერიუმები საფუძვლიანია და სამართლიანი და მომვალშიც რელევანტური.</p> <p>ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კომისია მიიჩნევს, რომ ზემოთ მოყვანილი პორტირებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი არასამართლიანია, ან აბონენტს არ უნდა მისცეს საშუალება პორტირების განაცხადის დაფიქსირების შემდეგ უარი თქვას პორტირებაზე, (და ამ საკითხებს მიიჩნევს კომისია</p>

		<p>წარუმატებელი პორტირების მაჩვენებლებად, რომლის შემცირებაც სურს) მას შეუძლია უბრალოდ ამოიღოს ამგვარი კრიტერიუმი დადგენილებით განსაზღვრული ჩამონათვალიდან, რაც საერთოდ არ საჭიროებს დღეს დანერგილი არც პორტირების პროცესისა და არც ვადების ცვლილებას.</p> <p><u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია, ახალი (ორი გაჩერების პრინციპის მქონე, დონორი ოპერატორის მიერ მართულმა) პორტირების პროცესის დანერგვამ ან ვადების შემცირებამ როგორ უნდა უზრუნველყოს დღეს არსებული წარმატებული პორტირების მაჩვენებლის ზრდა.</u></p>
2.	<p>პორტირების პროცესის დროის შემცირება</p>	<p>პორტირების დროის შემცირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომისიას არ აქვს შეფასებული ქმნის თუ არა რაიმე დაბრკოლებას დღეს არსებული პორტირების განხორციელების ვადები მომხმარებლებისათვის,</li> <li>• მიუხედავად აღნიშნულისა კომისიამ გადაწყვიტა არა მარტო შეამციროს ვადები, არამედ მთლიანად შეცვალოს დღეს არსებული <u>one stop-shop receiving provider led</u> პორტირების პროცესი, ისე, რომ არც კი შეუფასებია ამგვარი ცვლილების თანმდევი ხარჯები და სარგებელი, ან როგორ პასუხობს მის მიერ განსაზღვრულ მიზანს ახალი პორტირების პროცესი და და/ან რატომ არ არის შესაძლებელი იგივე მიზნის უკვე დანერგილი პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფა</li> </ul> <p>შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეფასებით დღეს არსებული ვადები საერთოდ არ საჭიროებს ცვლილებას, ცალსახაა რომ თუნდაც ამ (დაუსაბუთებელი) მიზნის მისაღწევად არ არის საჭირო დღეს არსებული, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი ე.წ. <u>one stop-shop receiving provider led</u> პორტირების პროცესის ცვლილება.</p> <p>უფრო დეტალურად იხ. პუნქტი 3</p>
3.	<p>პორტირების პროცესის ავტომატიზაცია</p>	<p>პროცესის ავტომატიზაცია მიზანი ვერ იქნება, შესაძლოა იყოს კონკრეტული მიზნის განხორციელების საშუალება.</p> <p>ამასთან გაურკვეველია როგორ უნდა უზრუნველყოს კომისიის მიერ დაინიცირებულმა ცვლილებებმა პორტირების პროცესის ავტომატიზაცია და ან რატომ არის საჭირო თუნდაც პროცესის სრული ავტომატიზაციისათვის ე.წ. <u>one stop-shop receiving provider led</u> პორტირების პროცესის ცვლილება</p>
4.	<p>პორტირების განხორციელება ოპერატორის ოფისში მიუსვლელოდ</p>	<p>სს სილქნეტი მიესალმება ცვლილებას რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს ოფისში მიუსვლელოდ, დისტანციურად გაუფორმონ მომხმარებლებს მომსახურების ხელშეკრულება, და პარალელურად პოტენციური აბონენტებისაგან პორტირების განაცხადი მიიღონ ელექტრონულად.</p> <p>თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის უზრუნველყოფა ცალსახად არ საჭიროებს დღეს დანერგილი ე.წ. <u>one stop-shop receiving provider led</u> პორტირების პროცესის და შესაბამისის ვადების ცვლილებას;</p>

ზემოაღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე ცალსახად მიგვაჩნია, რომ უცვლელი უნდა დარჩეს საქართველოში დღეს არსებული, კარგად აპრობირებული და ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი ერთი გაჩერების პრინციპით მიმდები ოპერატორის მიერ მართული პორტირების პროცესი (one stop-shop receiving provider led process), რაც გულისხმობს, რომ მომავალშიც აბონენტს

საშუალება უნდა ქონდეს მხოლოდ მიმღებ ოპერატორთან მიმართვით (და არა დონორი ოპერატორისაგან პორტირების ავტორიზაციის კოდის მოპოვებით) განახორციელოს მობილური ნომრის პორტირება.

3. დღეს საქართველოში პორტირების განხორციელებისათვის დადგენილი ვადების შემცირების საჭიროება და ვადების შესაბამისობა ევროდირექტივებთან/ევროკავშირის პრაქტიკასთან

DIRECTIVE (EU) 2018/1972 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December 2018 establishing the European Electronic Communications Code	
(281) Number portability is a key facilitator of consumer choice and effective competition in competitive markets for electronic communications and should be implemented with the minimum delay, so that the number is functionally activated within one working day and the end-user does not experience a loss of service lasting longer than one working day from the agreed date.	(281) ნომრების პორტაბელურობა მომხმარებელთა არჩევანისა და ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალებაა და უნდა განხორციელდეს მინიმალური შეფერხებით, ისე, რომ ნომერი ფუნქციონალურად გააქტიურდეს ერთ სამუშაო დღეში და ბოლო მომხმარებელს არ ქონდეს მომსახურების წყვეტა შეთანხმების დღიდან ერთ სამუშაო დღეზე მეტი პერიოდით.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, საქართველოში დღეს არსებული პორტირების განხორციელების ტექნიკურ- ადმინისტრაციული ვადები (განაცხადის ბაზაში რეგისტრაციიდან 24 საათში პორტირების უზრუნველყოფა), შესაბამისობაშია ევროდირექტივებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან (1 სამუშაო დღეში პორტირების უზრუნველყოფა), ხოლო სერვისის წყვეტისთვის საქართველოში არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური დასაშვები ვადა (3 საათი), გაცილებით ნაკლებია ევროდირექტივით განსაზღვრულ მაქსიმუმალურ ვადაზე (1 სამუშაო დღე).

კომისია კი შემოთავაზებული ცვლილებებით ისე გეგმავს შეამციროს პორტირების განხორციელებისათვის დღეს განსაზღვრული ვადები ჯამში 4 საათამდე (ა) 2 საათი დონორის მიერ პორტირების ავტორიზაციის კოდის აბონენტისთვის გასაგზავნად, 1 საათი- მიმღების მიერ პორტირების ავტორიზაციის კოდის ბაზაში გაგზავნისთვის და 1 საათი პორტირების დასრულებისთვის) რომ არც კი შეუფასებია შემდეგი (ოპერატორებისათვის ამგვარი კვლევა და/ან შეფასება ხელმისაწვდომი არ არის):

ა) ქმნის თუ არა მომხმარებლებისათვის პორტირებისათვის დღეს განსაზღვრული 24 საათიანი ვადა რაიმე პრობლემას და დაბრკოლებას და საერთოდ არის თუ არა საჭირო ამ ვადის შემცირება.

ბ) როგორია დღეს პრაქტიკაში არსებული სერვისის წყვეტის რეალური (პრაქტიკული) ხანგრძლივობა პორტირებისას, რომლის დასაშვები მაქსიმალური ხანგრძლივობა კანონმდებლობით 3 საათია და ქმნის თუ არა იგი პრაქტიკაში დაბრკოლებას მომხმარებელისათვის. (საქართველოში მობილური ნომრის პორტირებისას სერვისის წყვეტა სტანდარტულ შემთხვევაში 5 წუთს არ აღემატება და ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიო მასშტაბით. კომისიას კი ჩვენი ვარაუდით არ შეუსწავლია არსებული პრაქტიკა, რადგან პრეზენტაციაში მითითებულია რომ 3 საათის განმავლობაში „აბონენტი კავშირის გარეშე არის“).

გ) არის თუ არა შესაბამისობაში დღეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები ევროდირექტივებთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკასთან.

დ) როგორ არის დაკავშირებული პორტირების სისტემის ცვლილება ვადების შემცირებასთან და რატომ არის აუცილებელი დღეს საქართველოში დანერგილი „one stop-shop receiving provider led“ პორტირების პროცესის ცვლილება იმისათვის რომ თუნდაც შემცირდეს ვადები.

ე) როგორი იქნება დაგეგმილი ცვლილების (ვადის შემცირება და პორტირების პროცესის ცვლილების) თანმდევი ხარჯები და/ან სარგებელი ან რატომ პასუხობს მის მიერ განსაზღვრულ მიზანს (ვადის შემცირებას) ახალი პორტირების პროცესი და რატომ არ არის შესაძლებელი ან მიზანშეწონილი იგივე (თუნდაც დაუსაბუთებელი) მიზნის უკვე დანერგილი პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფა

ვ) რატომ გახდა საჭირო და აუცილებელი, რომ პორტირება ყოველთვის სავალდებულოდ განხორციელდეს პორტირების ავტორიზაციის კოდის მიმღებ ოპერატორთან წარდგენიდან 2 საათში და ახალი რეგულაციით რატომ აღარ უნდა ქონეს უფლება მომხმარებელს პორტირებისათვის განსაზღვროს კონკრეტული დღე და საათი (მაგალითად საღამოს 11 საათი). (მოცემული საკითხი დეტალურად განხილულია მე-4 პუნქტში)

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოვიკვლიეთ ევროპის პრაქტიკა და 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები (ევროდირექტივის მსგავსად) ერთ სამუშაო დღეს წარმოადგენს, თუ აბონენტის მიერ არ არის განსაზღვრული სხვა(უფრო დიდი) ვადა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ სამეფოშიც დღეს OFCOM -ის მიერ შესაბამისი საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული მობილური ნომრების პორტირების ვადა არის პორტირების მსურველი პირის მიერ მიმღებ ოპერატორთან PAC კოდის წარდგენიდან 1 სამუშაო დღე. (Regulated Providers must ensure that the Porting Process shall, unless the relevant Mobile Switching Customer agrees to defer the process, be completed within one Working Day from submission of the PAC to the Communications Provider to whom the relevant Mobile Switching Customer wants to switch).

შესაბამისად გაუგებარია რატომ გეგმავს კომისია ა) დანერგოს გაერთიანებულ სამეფოში არსებული ე.წ. ორი გაჩერების პრინციპის მქონე „donor led“ ნომრების პორტირების პროცესი, რომელსაც თვით OFCOM -იც კი აკრიტიკებს და არ მიიჩნევს საუკეთესო პრაქტიკად, ხოლო ბ) OFCOM-ის მიერ შესაბამისი აქტით განსაზღვრული (PAC კოდის წარდგენიდან პორტირების განხორციელებამდე) ვადა - 1 სამუშაო დღე, (თუ აბონენტის მიერ სხვა (უფრო დიდი) ვადა არ არის მითითებული) არ გაითვალისწინოს, კერძოდ, საქართველოსთვის პორტირების ვადა (კოდის წარდგენიდან პორტირების დასრულებამდე) ერთი სამუშაო დღის ნაცვლად განსაზღვროს 2 საათი და ამავე დროს აღარ მისცეს უფლება აბონენტს პორტირებისათვის აირჩიოს მისთვის სასურველი სხვა დღე და საათი.

რაც შეეხება დადგენილების პროექტით განსაზღვრულ დონორის მიერ პორტირების მსურველი პირისათვის პორტირების კოდის გაგზავნის ვადებს, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ განსაზღვრული 2 საათი ცალსახად არაგონივრულია განსაკუთრებით კორპორატიული აბონენტების შემთხვევაში და არასაჭირო დამატებით პრობლემებსა და ხარჯებს გამოიწვევს; ასევე, დადგენილების პროექტით არ არის განსაზღვრული მოცემული 2 საათი გულისხმობს თუ არა სამუშაო საათს;

ჩვენი შეფასებით, დღეს საქართველოში მობილური ნომრის პორტირებისათვის განსაზღვრული ვადები და პროცესი დაბრკოლებას არ უქმნის მომხმარებლებს პორტირების განხორციელებაში, შესაბამისობაშია ევროდირექტივებთან და ევროპულ პრაქტიკასთან და ცვლილებას არ საჭიროებს.

4. კომისიის მიერ დადგენილებით განსაზღვრული ახალი პორტირების პროცესისა და ცვლილებების დანერგვის უარყოფითი შედეგები

ვინაიდან მარეგულირებლის მიერ შემოთავაზებული ახალი პორტირების პროცესი და თანმდევი საკითხები რიგ შემთხვევაში სავარაუდოდ შეცდომით (არასწორად) არის ჩამოყალიბებული, ამგვარ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში მივიღებთ შემდეგს:

4.1. უკიდურესად გართულდება კორპორატიული მობილური აბონენტების პორტირების პროცესი. მოცემული კი გამოწვეულია „ახალ სისტემაზე“ გადასვლით და გაერთიანებულ სამეფოში დანერგილი სისტემისა და ვადების არასწორად გადმოღებით. გაერთიანებულ სამეფოში დანერგილი Porting Authorization Code (PAC) -ის მოთხოვნა -მიღების პროცესი და ვადები ბუნებრივია განსხვავებულია 1 ნომრის პორტირების მსურველი ფიზიკური პირი აბონენტებისა და ერთზე მეტი სააბონენტო რესურსის პორტირების მსურველი კორპორატიული (იურიდიული პირი) აბონენტებისათვის, ხოლო კომისიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების პროექტი არ ითვალისწინებს კორპორატიული აბონენტების შემთხვევაში პორტირების პროცესისა და შესაბამისი ვადების თავისებურებას.

კომისიის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტით განსაზღვრულია დონორის მიერ პორტირებაზე დასტურის სახით, პორტირების კოდის აბონენტისათვის გაგზავნის ერთადერთი სავალდებულო ფორმა, კერძოდ, კოდის მოკლე ტექსტური შეტყობინებით „იმ მობილურ სააბონენტო ნომერზე გაგზავნა, რომლის პორტირებაც მომხმარებელს სურს“. (იხ. მუხლი 4(9)) შესაბამისად თუ იურიდიული პირი აბონენტი დონორს მიმართავს (მაგალითად) 100 სააბონენტო ნომრის პორტირების მოთხოვნით, დონორი ვალდებულია იმ 100 ნომერზე, რომლის პორტირებასაც ითხოვს აბონენტი, ცალ-ცალკე გააგზავნოს თითოეული მობილური ნომრის შესაბამისი პორტირების კოდი. შემდეგ, იმისათვის რომ იურიდიული პირის წარმომადგენელმა პორტირებისა და ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით მიმართოს მიმღებს და წარუდგინოს ნომრები შესაბამისი კოდებით, ჯერ მის სახელზე გაფორმებული (და სავარაუდოდ მისი თანამშრომლების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული) სატელეფონო ნომრებიდან უნდა მოიპოვის პორტირების კოდები, რაც ჩვენი შეფასებით არასამართლიან დაბრკოლებას შექმნის კორპორატიული მომხმარებლისათვის პორტირებისას და შეაფერხებს პროცესს; დამატებით თუ სიმ-ბარათი არ დევს მობილურში (განკუთვნილია მაგალითად ახალი პოტენციური თანამშრომლისათვის), აბონენტმა ამგვარი სიმ-ბარათები უნდა მოათავსოს ტელეფონებში, რათა მიიღოს პორტირების კოდები.

შესაბამისად, კომისია ისე გეგმავს გაავრცელოს ერთი სააბონენტო ნომრის პორტირებისათვის გაერთიანებულ სამეფოში დანერგილი Porting Authorization Code (PAC) -ის მოთხოვნა-მიღების საშუალებები, პროცესი და ვადები საქართველოში კორპორატიულ აბონენტებზე, რომ არც კი შეუსწავლია რა შედეგი მოყვება ამგვარ ცვლილებას.

4.2. პირებს, რომლებიც დროებით სარგებლობენ იმ ნუმერაციის რესურსისთ რომელიც არ არის მათ სახელზე გაფორმებული, შესაძლებლობა ექნებათ პორტირებით, ნუმერაციის რესურსის მფლობელის თანხმობის გარეშე, მარტივად გადაიფორმონ ნუმერაციის რესურსი.

დადგენილების პროექტის თანახმად პორტირების ბაზაში აღარ იქნება ინფორმაცია სააბონენტო ნუმერაციის რესურსის მფლობელი/პორტირების მსურველი პირის შესახებ. პორტირებისას (მიმღებთან კოდის წარდგენისას) არც მიმღებს და არც დონორს აღარ ექნება ინფორმაცია ითხოვს თუ არა პორტირებას უფლებამოსილი პირი და შესაბამისად ამგვარი ინფორმაციის გადამოწმება ან დადასტურება დონორისა მიერ აღარ მოხდება.

შესაბამისად ნებისმიერ პირს, რომელიც მიმღებ ოპერატორთან წარადგენს სააბონენტო ნუმერაციის შესაბამის პორტირების კოდს, შესაძლებლობა ექნება პორტირებით თავის სახელზე გადაიფორმოს ნუმერაციის რესურსი. (დონორი ვალდებულია ბაზაში ატვირთოს მხოლოდ ტელეფონის ნომერი შესაბამისი პორტირების კოდით, ხოლო მიმღები პორტირების პროცესს აინიცირებს და ასრულებს მხოლოდ ტელეფონის ნომრისა და შესაბამისი პორტირების კოდის ბაზაში რეგისტრაციით, მე-4 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტები). მაგალითად, თუ პირის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ნომერი სხვის სახელზეა გაფორმებული და ფაქტობრივი მოსარგებლისთვის ცნობილია რესურსის მფლობელი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, დონორთან (SMS-ით, ვებ-გვერდით ან ტელეფონით) ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, პირი თავის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე მარტივად მიიღებს პორტირების კოდს, შემდგომ უკვე თავისი სახელით მიმართავს მიმღებ ოპერატორს პორტირების განხორციელების მოთხოვნით და წარუდგენს კოდს, ხოლო მიმღები მხოლოდ ტელეფონის ნომრისა და კოდის ბაზაში გაგზავნით ამ ახალ აბონენტზე გადააფორმებს ნუმერაციის რესურსს. კორპორატიული ნომრის შემთხვევაში კიდევ უფრო მარტივი იქნება აღნიშნული ქმედების განხორციელება; ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პირი შემთხვევით ან წინასწარი განზრახვით მოიპოვებს სხვა პირის ტელეფონზე გამოგზავნილ პორტირების კოდს, მას შესაძლებლობა ექნება პორტირებით, უპრობლემოდ გადაიფორმოს ეს ნომერი.

შესაბამისად, დღევანდელი მოწყობისაგან განსხვავებით, სადაც თაღლითური ქმედების განხორციელების რისკი გაცილებით ნაკლებია და გამჭვირვალედ, ცენტრალური ბაზის საშუალებით ხორციელდება იმის იდენტიფიცირება არის თუ არა პორტირების მსურველი პირი უფლებამოსილი პირი (ანუ ის პირი ვის სახელზეც არის ნომერი დონორთან გაფორმებული) ახალი სისტემით აღნიშნულის გადამოწმება აღარ მოხდება, რაც გაუგებარ დამატებით რისკებს წარმოქმნის პორტირების პროცესში მონაწილე მხარეებისათვის;

4.3. დადგენილების პროექტის თანახმად მობილური მომსახურების მომხმარებლებს აღარ ექნებათ უფლება და საშუალება თავად განსაზღვრონ მობილური ნომრის პორტირების მათთვის სასურველი (დადგენილებით განსაზღვრული ვადისაგან განსხვავებული) დღე და დრო პორტირებისათვის. დადგენილების მიხედვით ნებისმიერ შემთხვევაში მობილურის პორტირება სავალდებულოდ უნდა განხორციელდეს მიმღებ ოპერატორთან პორტირების ავტორიზაციის კოდის წარდგენიდან 2 საათში (საიდანაც 1 საათი მიმღებ ოპერატორს აქვს განსაზღვრული პორტირების ბაზაში სააბონენტო ნომრის და შესაბამისი პორტირების ავტორიზაციის კოდის გასაგზავნად, ხოლო 1 საათი ბაზას დონორსა და მიმღებს პორტირების დასრულებისათვის).

შესაბამისად დღევანდელი მოწყობისაგან განსხვავებით, (სადაც იმ შემთხვევაში თუ აბონენტს პორტირება სურს უმოკლეს დროში, პორტირება ხორციელდება 24 საათში, ხოლო თუ აბონენტს კონკრეტულ დროს სურს პორტირება, (მაგალითად 23:00 საათზე) შესაძლებლობა აქვს მიუთითოს მისთვის სასურველი დრო და დაპორტირდეს ზუსტად იმ კონკრეტულ საათზე.) ახალი სისტემის ფარგლებში ამგვარი შესაძლებლობა მომხმარებელს აღარ ექნება. დადგენილების პროექტის თანახმად, მიმღები ოპერატორი აღარ ავსებს ბაზაში პორტირების განაცხადს სადაც შესაძლებელი იყო აბონენტს განესაზღვრა პორტირების სასურველი დღე და საათი, ნაცვლად აღნიშნულისა მიმღები ბაზაში აგზავნის მხოლოდ აბონენტის მიერ მისთვის წარდგენილ პორტირების კოდსა და ნომერს და პორტირებაც უნდა განხორციელდეს დადგენილების პროექტით პორტირებისთვისაც განსაზღვრულ კონკრეტულ ვადაში (პორტირების კოდის მიმღებთან წარდგენიდან 2 საათში, ხოლო პორტირების კოდის მიმღების მიერ ბაზაში გაგზავნიდან 1 საათში);

აღნიშნული სიახლეც აცდენიანია მსოფლიო პრაქტიკას და აბონენტებს დამატებით ხელოვნურ დაბრკოლებას შეუქმნის პროტირების განხორციელებაში;

4.4. კომისიის მიერ დადგენილების პროექტით განსაზღვრული მობილური ნომრების პორტირების ახალი სისტემა ძირეულად განსხვავდება არსებულისაგან და სისტემა აღარ ცნობს მიმღების დონორთან კავშირს მონაცემების დადასტურების და ან გადამოწმების მიზნით, (მათ შორის, მას შემდეგ რაც პირი მიმღებთან წარადგენს პორტირების კოდს, რომელსაც 30 დღიანი ვადა აქვს). ვინაიდან დადგენილებით განსაზღვრული არ არის მრავალი მნიშვნელოვანი თანმდევი საკითხი, რეალობაში აღნიშნული შემქნის პრობლემებს. მაგალითად დადგენილების პროექტით არ არის განმარტებული რა ხდება და/ან რამე აქტივობა უნდა განხორციელდეს თუ არა იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ პორტირების კოდის მოპოვების შემდგომ (30 დღის შუალედში) შეიცვალა ამ აბონენტის ფაქტობრივი მდგომარეობა, მაგალითად ნომერი გადაიფორმა სხვა პირმა ან დადგა ამავე დადგენილებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი (მაგალითად წინა თვის გადაუხდელი დავალიანება) და ა.შ

დამატებით, ახალი სისტემის დანერგვის შემთხვევაში, ცალსახად უნდა განმარტოს კომისიამ, რომ ვინაიდან ახალი პროცესით შეუძლებელია მობილურმა ოპერატორებმა განახორციელონ პორტირების მომთხოვნი უფლებამოსილი პირის სწორად იდენტიფიცირება/გადამოწმება, დონორი და მიმღები ოპერატორები ვერ იქნებიან პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ არაუფლებამოსილი პირი პორტირებით განახორციელებს ნომრის თავის სახელზე გადაფორმებას;

4.5. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების პროექტის თანახმად არ იცვლება ფიქსირებული ნომრების პორტირების პროცესი და ვადები, შეცვლილია (სავარაუდოდ შეცდომით) მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ვადა 24 საათი 3 საათით, („სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორმა, დონორმა და მიმღებმა ოპერატორებმა, კოორდინირებულად უნდა უზრუნველყონ სააბონენტო ნომრის პორტირების პროცესის დასრულება, ყველა საჭირო ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცედურების ჩათვლით, .... ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურებებზე პორტირების თაობაზე განაცხადის პორტირების ბაზაში რეგისტრაციიდან 3 (სამ) საათში.“ )

შესაბამისად გამოდის, რომ ფიქსირებულის პორტირების ვადებიც მცირდება და პორტირება 24 საათის მაგივრად 3 საათში უნდა განხორციელდეს. ეს ცვლილება კი წინააღმდეგობაში მოდის ამავე დადგენილებით ფიქსირებული ნომრის პორტირებისას დონორისათვის ინფორმაციის დასადასტურებლად განსაზღვრულ 22 საათიან ვადასთან, რომელიც დღევანდელი მოცემულობით 24 საათიანი ვადის შემადგენელი ნაწილია და ცალსახად მას შემდეგ უნდა განხორციელდეს, რაც ბაზაში დარეგისტრირდება პორტირების მოთხოვნა.

პატივისცემით,



დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი